დაუშვებელია ამ პრეს რელიზის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, კანადასა ან იაპონიაში

სს „საქართველოს ბანკის“ 2006 წლის სექტემბრის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

2006 წლის 11 დეკემბერი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი პერიოდის ბოლოს 1.736

სს „საქართველოს ბანკი“ ცხრა თვის ფინანსურ შედეგებს აცხადებს

IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული

ათასი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	2006 წლის ცხრა თვე		წლიური ზრდა[1]
	ლარი	*აშშ დოლარი*	
„საქართველოს ბანკი“ (კონსოლიდირებული, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული)			
შემოსავალი[2]	**72,235**	**41,622**	**63.5%**
წმინდა მოგება	**17,301**	**9,969**	**96.3%**
კონსოლიდირებული მოგება ერთ აქციაზე (საბაზისო)	**1.12**	**0.65**	**86.7%**
კონსოლიდირებული მოგება ერთ აქციაზე (შემცირებული)	**1.12**	**0.65**	**86.7%**
დაკორექტირებული მოგება ერთ აქციაზე[3]	**0.76**	**0.44**	
უკუგება საშუალო აქტივებზე (გაწლიურებული)[4]	**3.5%**		
უკუგება საშუალო კაპიტალზე (გაწლიურებული)[4]	**20.2%**		

დღეს საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკა (LSE: BGEO, GSE: GEB) ცხრა თვის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები (IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული) გამოაცხადა. 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ბანკის წმინდა მოგებამ 17.3 მლნ ლარი (10.0 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა და წინა წელთან შედარებით 96%-ით გაიზარდა.

ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალმა საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების რეზერვის გამოკლებამდე 41.3 მლნ ლარი (23.8 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა და წინა წელთან შედარებით 53%-ით გაიზარდა. წმინდა საკომისიო და მომსახურების შემოსავალი 15.9 მლნ ლარს გაუტოლდა (9.2 მლნ აშშ დოლარი) და წინა წელთან შედარებით 68%-ით გაიზარდა. ბანკის სხვა არა-საპროცენტო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 94%-ით გაიზარდა და 15.0 მლნ ლარს (8.7 მლნ აშშ დოლარი) მიაღწია, ხოლო სხვა არა-საპროცენტო ხარჯი 39.6 მლნ ლარს (22.8 მლნ აშშ დოლარი) გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით 49%-ით გაიზარდა.

ბანკის მთლიანი აქტივები 856.7 მლნ ლარს (493.6 მლნ აშშ დოლარი) გაუტოლდა და 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე 86%-ით გაიზარდა. აქტივების ასეთი ზრდა ძირითადად გამოწვეულია ბანკის საკრედიტო პორტფელის 560.4 მლნ ლარამდე (322.9 მლნ აშშ დოლარი) ზრდით. ბანკის საკრედიტო პორტფელი 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე 88%-ით გაიზარდა. სააქციო კაპიტალმა[5] 137.1 მლნ ლარს (79.0 მლნ აშშ დოლარი) მიაღწია.

---

[1] წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით; ზრდის მაჩვენებლები გამოთვლილია ლარის საფუძველზე

[2] შემოსავალი მოიცავს წმინდა საპროცენტო შემოსავალს საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების რეზერვის გამოკლებამდე, წმინდა საკომისიო და მომსახურების შემოსავალს და სხვა არა-საპროცენტო შემოსავლას

[3] დაკორექტირებულია იმისათვის, რომ აისახოს ბანკის მთლიანი გამოშვებული აქციები 2006 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში 7,440,207 ახალი აქციის გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების სახით შეთავაზების შემდეგ. მთლიანი გამოშვებული აქციები უდრის 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ცხრა თვის განმავლობაში საშუალო შეწონილი გამოშვებული აქციებისა და 2006 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების სახით გამოშვებული 7,440,207 ახალი აქციის ჯამს. აღნიშნული აქციების რაოდენობა შეადგენს 22,884,810 (არ მოიცავს თანამდებობის პირთა აქციებით კომპენსაციის გეგმით გათვალისწინებულ გაუცემელ აქციებს) 2006 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ 25,180,620 გამოშვებულ აქციასთან შედარებით

[4] ცხრა თვის საშუალო გაწლიურებული

[5] მოსალოდნელია მთლიანი სააქციო კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდა 2006 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში განხორციელებული გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების აქციების სახით შეთავაზების შედეგად

ამ პრეს რელიზში 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მოყვანილი ცხრა თვის ფინანსური შედეგები არ არის აუდიტირებული. ბანკის ფინანსური შედეგები შუალედურ პერიოდში არ მიუთითებს იმას, თუ რა ფინანსური შედეგი ექნება ბანკს წლის ბოლოს.

სს „საქართველოს ბანკის“ 2006 წლის სექტემბრის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული

„მოხარული ვარ, რომ 2006 წლის მესამე კვარტალში ბანკის შემოსავლიანი ზრდა მოჰყვა 2006 წლის პირველ ნახევარში მიღწეულ მნიშვნელოვან ფინანსურ შედეგებს. ამ კვარტალში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები მოიცავს „Merrill Lynch“-გან, „Thames River Capital“-გან და „HBK Investments“-გან ჯამში 55 მლნ აშშ დოლარის ოდენობის არასადეპოზიტო თანხების მოზიდვას, 2006 წლის ივლისსა და სექტემბერში განხორციელებული კაპიტალის ზრდის შედეგად ჯამში 23.5 მლნ ლარის (13.6 მლნ აშშ დოლარი) კაპიტალის მოზიდვას. ბანკის კლიენტების დეპოზიტებმა 468.0 მლნ ლარს (269.7 მლნ აშშ დოლარი) მიაღწია და 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე 73%-ით გაიზარდა. სავალო და კაპიტალის სახით მოზიდული თანხები კვლავ შეუწყობს ხელს ბანკის წმინდა საკრედიტო პორტფელის სწრაფ ზრდას. ბანკის საკრედიტო პორტფელი 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე 88%-ით გაიზარდა; საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი წმინდა საკრედიტო პორტფელი კი 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე 52%-ით გაიზარდა. მე განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ 2005 წლის ბოლოსთან შედარებით საკუთარი საბაზრო წილის გაზრდა შევძელით“, აღნიშნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, *ლადო გურგენიძემ.*

სს „საქართველოს ბანკის“ 2006 წლის სექტემბრის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული

მოგება-ზარალის უწყისი

		ცხრა თვე 30 სექტემბერი			
	წლიური ზრდა[1]	**2006[2]**		**2005[3]**	
„საქართველოს ბანკი“, კონსოლიდირებული, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული		*(არააუდიტირებული)*		*(არააუდიტირებული)*	
ათასი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული		***აშშ დოლარი***	***ლარი***	***აშშ დოლარი***	***ლარი***
საპროცენტო შემოსავალი	75.3%	36,372	63,123	20,088	36,007
საპროცენტო ხარჯი	141.1%	12,561	21,800	5,044	9,042
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**53.2%**	**23,810**	**41,323**	**15,043**	**26,965**
საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების რეზერვი	90.4%	6,145	10,665	3,125	5,602
წმინდა საპროცენტო შემოსვალი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	**43.5%**	**17,665**	**30,658**	**11,918**	**21,363**
საკომისიო და მომსახურების შემოსავალი	68.8%	11,399	19,783	6,538	11,720
საკომისიო და მომსახურების ხარჯი	71.3%	2,239	3,885	1,265	2,268
წმინდა საკომისიო და მომსახურების შემოსავალი	**68.2%**	**9,160**	**15,898**	**5,273**	**9,452**
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან					
-სავაჭრო ოპერაციებიდან	77.2%	4,722	8,195	2,580	4,624
- საკურსო სხვაობებიდან	NMF [4]	(174)	(302)	23	41
წმინდა სადაზღვევო პრემია	77.5%	2,544	4,415	1,387	2,487
სხვა საოპერაციო შემოსავალი	350.2%	1,559	2,706	335	601
სხვა არა-საპროცენტო შემოსავალი	**93.7%**	**8,651**	**15,014**	**4,325**	**7,753**
თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი	31.8%	12,593	21,855	9,247	16,576
ადმინისტრაციული ხარჯები	72.2%	7,666	13,304	4,311	7,727
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	22.2%	2,207	3,830	1,749	3,135
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვისა და სხვა ანარიცხების გაუქმება	-29.5%	(426)	(740)	(585)	(1,049)
წმინდა გაწეული სადაზღვევო ზარალი	404.8%	782	1,358	150	269
სხვა არასაპროცენტო ხარჯი	**48.6%**	**22,822**	**39,607**	**14,872**	**26,658**
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**84.4%**	**12,655**	**21,963**	**6,644**	**11,910**
მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)	50.6%	2,686	4,662	1,727	3,095
პერიოდის წმინდა მოგება	**96.3%**	**9,969**	**17,301**	**4,918**	**8,815**
მოგება ერთ აქციაზე (საბაზისო), ლარი	86.7%	0.65	1.12	0.33	0.60
მოგება ერთ აქციაზე (შემცირებული), ლარი	86.7%	0.65	1.12	0.33	0.60
დაკორექტირებული მოგება ერთ აქციაზე	NMF [4]	0.69	0.44	NMF [4]	NMF [4]

[1] წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით; ზრდის მაჩვენებლები გამოთვლილია ლარის საფუძველზე
[2] აშშ დოლარში გადაყვანილია გაცვლითი კურსით 1.736 ლარი 1.00 აშშ დოლართან, რაც არის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.
[3] აშშ დოლარში გადაყვანილია გაცვლითი კურსით 1.793 ლარი 1.00 აშშ დოლართან, რაც არის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2005 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
[4] უმნიშვნელო

სს „საქართველოს ბანკის“ 2006 წლის სექტემბრის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული

საბალანსო უწყისი

„საქართველოს ბანკი“, კონსოლიდირებული, IFRS	ზრდა[1]	30 სექტემბერი, 2006[2] *(არააუდიტირებული)*		31 დეკემბერი, 2005[3] *(აუდიტირებული)*	
ათასი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული		*აშშ დოლარი*	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*ლარი*
აქტივები					
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	103.5%	67,118	116,483	31,922	57,236
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	68.2%	32,378	56,192	18,627	33,398
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	88.4%	322,906	560,403	165,854	297,376
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში	109.9%	5,216	9,053	2,406	4,314
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში:					
-ვაჭრობისთვის განკუთვნილი	-26.0%	3,550	6,161	5,643	8,327
-დაფარვის ვადამდე ფლობილი	-88.9%	146	253	273	2,280
ძირითადი საშუალებები, წმინდა	46.9%	30,324	52,627	19,975	35,815
არამატერიალური აქტივები, წმინდა	232.5%	14,723	25,551	4,286	7,685
აქტივები მოგების გადასახადის სახით	NMF[4]	-	-	1,433	2,570
წინასწარი გადახდები	604.8%	1,848	3,207	254	455
სხვა აქტივები	141.0%	15,433	26,784	6,199	11,114
მთლიანი აქტივები	**86.0%**	**493,641**	**856,714**	**256,871**	**460,570**
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	183.0%	128,610	223,203	43,989	78,873
ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ	73.4%	269,659	467,993	150,559	269,952
სასესხო ვალდებულებების სახით გამოცემული ფასიანი ქაღალდები	-1.3%	650	1,128	637	1,143
მოგების გადასახადის ვალდებულებები	86.0%	2,236	3,881	1,164	2,087
რეზერვი	NMF[4]	-	-	544	975
სხვა ვალდებულებები	45.7%	13,500	23,430	8,967	16,078
მთლიანი ვალდებულებები	**95.0%**	**414,656**	**719,635**	**205,861**	**369,108**
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	13.6%	9,644	16,738	8,215	14,729
საემისიო კაპიტალი	81.8%	34,495	59,866	18,361	32,922
გამოსყიდული საკუთარი აქციები	148.1%	(116)	(201)	(45)	(81)
გაუნაწილებელი მოგება	44.9%	31,248	54,231	20,874	37,427
სხვა რეზერვი	-1.6%	3,045	5,285	2,994	5,369
სულ სააქციო კაპიტალი	**50.4%**	**78,317**	**135,919**	**50,399**	**90,366**
შვილობილი კომპანიების წილი	5.8%	668	1,160	611	1,096
სულ კაპიტალი	**49.9%**	**78,985**	**137,079**	**51,011**	**91,462**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**86.0%**	**493,641**	**856,714**	**256,871**	**460,570**

[1] ზრდა 2006 წლის იანვრიდან სექტემბრამდე; რდის მაჩვენებლები გამოთვლილია ლარის საფუძველზე
[2] აშშ დოლარში გადაყვანილია გაცვლითი კურსით 1.736 ლარი 1.00 აშშ დოლართან, რაც არის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.
[3] აშშ დოლარში გადაყვანილია გაცვლითი კურსით 1.793 ლარი 1.00 აშშ დოლართან, რაც არის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
[4] უმნიშვნელო

ამ პრეს რელიზში 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მოყვანილი ცხრა თვის ფინანსური შედეგები არ არის აუდიტირებული. ბანკის ფინანსური შედეგები შუალედურ პერიოდში არ მიუთითებს იმას, თუ რა ფინანსური შედეგი ექნება ბანკს წლის ბოლოს.

სს „საქართველოს ბანკის“ 2006 წლის სექტემბრის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები, IFRS, არააუდიტირებული, ფინანსურად მიმოხილული

კოეფიციენტები

	30 სექტემბერი, 2006	31 დეკემბერი, 2005
„საქართველოს ბანკის“ კონსოლიდირებული კოეფიციენტები, IFRS, არააუდიტირებული		
შემოსავლიანობა		
უკუგება საშუალო აქტივებზე	3.5%*	3.3%
უკუგება საშუალო კაპიტალზე	20.2%*	18.5%
წმინდა საპროცენტო მარჟა [1]	10.0%*	11.9%
საპროცენტო ხარჯი საპროცენტო შემოსავალთან	34.5%	25.2%
წმინდა საკომისიო შემოსავალი მთლიან საოპერაციო შემოსავალთან [2]	22.0%	22.4%
საპროცენტო შემოსავალი საშუალო საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებთან [1]	15.3%	15.9%
მოზიდული სახსრების ხარჯი [3]	5.6%	4.0%
წმინდა სპრედი [4]	9.7%	11.8%
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი მთლიან საოპერაციო შემოსავალთან [5]	42.8%	39.7%
ეფექტიანობის კოეფიციენტები		
სხვა არა-საპროცენტო შემოსავალი მთლიან აქტივებთან	8.0%*	10.0%
თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი მთლიან საოპერაციო შემოსავალთან [6][7]	30.3%	36.2%
თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი სხვა არა-საპროცენტო ხარჯთან [6]	55.2%	56.3%
ლიკვიდობის კოეფიციენტები		
წმინდა სესხები მთლიან აქტივებთან	65.4%	64.6%
წმინდა სესხები მეანაბრეთა მიმართ ვალდებულებებთან	119.7%	110.2%
წმინდა სესხები მთლიან დეპოზიტებთან [7]	99.7%	96.8%
წმინდა სესხები მთლიან ვალდებულებებთან	77.9%	80.6%
საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები მთლიან აქტივებთან [1]	83.7%	83.7%
ლიკვიდური აქტივები მთლიან აქტივებთან [8]	14.3%	14.2%
მთლიანი დეპოზიტები მთლიან აქტივებთან [7]	65.6%	66.7%
ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ მთლიან დეპოზიტებთან	83.3%	87.9%
ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ მთლიან კაპიტალთან (ჯერ)	3.41	2.95
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებებთან საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრების გარდა	59.7%	89.9%
მთლიანი კაპიტალი წმინდა სესხებთან	24.5%	30.8%
ლევერაჟი, ჯერ [9]	5.2	4.0
აქტივების ხარისხი		
პერიოდის ბოლოს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მთლიან სესხებთან [10]	3.7%	5.4%
კაპიტალის ადეკვატურობა (პერიოდის ბოლოს)[11]		
კონსოლიდირებული ტიერ I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი[12]	19.2%	23.0%
კონსოლიდირებული მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი[12][13]	25.2%	24.0%
დამოუკიდებლად ბანკის ტიერ I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი[14]	19.8%	23.6%
დამოუკიდებლად ბანკის მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი[14][15]	24.4%	23.8%

**2006 წლის 9 თვის საშუალო გაწლიურებული*

[1] წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების რეზერვების გამოკლებამდე გაყოფილი საშუალო საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებზე. საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები მოიცავს საკრედიტო ინსტიტუტებში განთავსებულ ვადიან დეპოზიტებს 90 დღემდე ვადიანობით, მოთხოვნებს საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ, კლიენტებზე გაცემულ სესხებს, ფინანსურ ინვესტიციებში განზრახულებული ინვესტიციებიდან მისაღებ თანხებს და ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში

[2] მთლიანი საოპერაციო შემოსავალი მოიცავს წმინდა საპროცენტო შემოსავალს საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების გამოკლებამდე, წმინდა საკომისიო და მომსახურების შემოსავალს და სხვა არა-საპროცენტო შემოსავალს

[3] მოზიდული სახსრების ხარჯი უდრის საპროცენტო ხარჯი გაყოფილი საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ საშუალო ვალდებულებებზე, ვალდებულებებზე მეანაბრეთა მიმართ და სასესხო ვალდებულებების სახით გამოცემულ ფასიან ქაღალდებზე

[4] წმინდა სპრედი უდრის სხვაობას საპროცენტო შემოსავლისა და საშუალო საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების განაყოფსა და საპროცენტო ხარჯსა და საშუალო ხარჯიანი ვალდებულებების განაყოფს შორის

[5] წმინდა არა-საპროცენტო შემოსავალი უდრის წმინდა საკომისიო და მომსახურების და სხვა არა-საპროცენტო შემოსავლის ჯამს

[6] თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 21.9 მლნ ლარს გაუტოლდა

[7] მთლიანი დეპოზიტები მოიცავს ვალდებულებებს მეანაბრეთა მიმართ და ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრების გარდა

[8] ლიკვიდური აქტივები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად ეკვივალენტებს და ვაჭრობისთვის განკუთვნილ ფასიან ქაღალდებს. ლიკვიდური აქტივები 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 122.6 მლნ ლარს გაუტოლდა

[9] მთლიანი ვალდებულებები გაყოფილი მთლიან კაპიტალზე

[10] 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი 21.3 მლნ ლარს გაუტოლდა

[11] მოსალოდნელია ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მნიშვნელოვანი ზრდა 2006 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში ბანკის მიერ აქციების გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების შედეგად.

[12] კონსოლიდირებული ტიერ I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი გამოთვლილია ბაზელის კაპიტალის სტანდარტების შესაბამისად. ბანკის კონსოლიდირებული ტიერ I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის კონსოლიდირებული ტიერ I კაპიტალი გაყოფილი კონსოლიდირებულ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. კონსოლიდირებული ტიერ I კაპიტალი 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 130.8 მლნ ლარს გაუტოლდა. კონსოლიდირებული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 679.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

[13] კონსოლიდირებული მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი გამოთვლილია ბაზელის კაპიტალის სტანდარტების შესაბამისად. ბანკის კონსოლიდირებული მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის საზედამხედველო კაპიტალი (ტიერ I + ტიერ II - დაქვითვები) გაყოფილი კონსოლიდირებულ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. კონსოლიდირებული საზედამხედველო კაპიტალი (ტიერ I + ტიერ II - დაქვითვები) 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 171.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

[14] დამოუკიდებლად ბანკის ტიერ I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი გამოთვლილია ბაზელის კაპიტალის სტანდარტების შესაბამისად. დამოუკიდებლად ბანკის ტიერ I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის დამოუკიდებლად ბანკის ტიერ I კაპიტალი გაყოფილი დამოუკიდებლად ბანკის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. დამოუკიდებლად ბანკის ტიერ I კაპიტალი 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 130.9 მლნ ლარს გაუტოლდა. დამოუკიდებლად ბანკის რისკის მიხედვით შეწონილმა აქტივებმა 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 660.4 მლნ ლარი შადგინა.

[15] დამოუკიდებლად ბანკის მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი გამოთვლილია ბაზელის კაპიტალის სტანდარტების შესაბამისად. დამოუკიდებლად ბანკის მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის საზედამხედველო კაპიტალი (ტიერ I + ტიერ II – დაქვითვები) გაყოფილი დამოუკიდებლად ბანკის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. დამოუკიდებლად ბანკის საზედამხედველო კაპიტალი (ტიერ I + ტიერ II - დაქვითვები) 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 161.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

***

ამ პრეს რელიზში 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მოყვანილი ცხრა თვის ფინანსური შედეგები არ არის აუდიტირებული. ბანკის ფინანსური შედეგები შუალედურ პერიოდში არ მიუთითებს იმას, თუ რა ფინანსური შედეგი ექნება ბანკს წლის ბოლოს.

დაუშვებელია ამ პრეს რელიზის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, კანადასა ან იაპონიაში

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.bog.ge/ir ან დაუკავშირდით:

„საქართველოს ბანკი“
ლადო გურგენიძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
+995 32 444 103
lgurgenidze@bog.ge

„საქართველოს ბანკი“
ირაკლი გილაური
გენერალური დირექტორი
+995 32 444 109
igilauri@bog.ge

„საქართველოს ბანკი“
მაკა ეკიზაშვილი
ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი
+995 32 444 256
ir@bog.ge

„Shared Value Limited“
ლარისა კოგუტ-მილინგსი
+44 (0) 20 7321 5037
bog@sharedvalue.net

საქართველოს წამყვანი უნივერსალური ბანკი, სს „საქართველოს ბანკი“ უმსხვილესია სააქციო კაპიტალის და მთლიანი აქტივების მიხედვით. ბანკის ფილიალების რაოდენობა 98 შეადგენს და იგი 380,000-ზე მეტ ფიზიკურ პირს ემსახურება. ბანკი საკუთარ კლიენტებს მთელ საქართველოში სთავაზობს სამომხმარებლო საბანკო და კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს. გარდა ამისა, ბანკი ფიზიკურ პირებს და კორპორაციებს სთავაზობს სადაზღვევო პროდუქტების ფართო არჩევანს საკუთარი შვილობილი კომპანიის, „ბისიაი“-ს მეშვეობით, აგრეთვე აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვის მომსახურებას.

„საქართველოს ბანკს“ აქვს ’B+/B’ რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით „Standard & Poor’s“-გან; ’B3/NP’ (უცხოური ვალუტა) და ’Baa3/P-3’ (ადგილობრივი ვალუტა) რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით „Moody’s“-გან; ’B-/B’ პოზიტიური პერსპექტივით „FitchRatings“-გან.

ამ პრეს რელიზში ნახსენები ფასიანი ქაღალდები არ არის და არ იქნება რეგისტრირებული ამერიკის შეერთებული შტატების 1933 წლის ფასიანი ქაღალდების აქტის შესაბამისად („ფასიანი ქაღალდების აქტი“) და დაუშვებელია აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ამერიკის შეერთებულ შტატებში ან შეერთებული შტატების მოქალაქეებისთვის შეთავაზება ან გაყიდვა იმ შემთხვევის გარდა, თუ მოხდება ამ ფასიანი ქათალდების „ფასიანი ქაღალდების აქტის“ შესაბამისად რეგისტრირება ან ფასიანი ქაღალდები გათავისუფლდება „ფასიანი ქაღლადების აქტის“ შესაბამისად რეგისტრაციის აუცილებლობისგან. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება არ მოხდება შეერთებულ შტატებში. შესაძლებელია გავრცელდეს სხვა შეზღუდვები გაყიდვაზე.